



კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში:

კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



პერაზიის
თანამშრომლობის
ფონდი

კვლევა მომზადდა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის მიერ.

რუსუდან მჭედლიშვილი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი

ანნა თვარაძე, კონსტიტუციის 42-ე მუხლი

სოფო ვერძეული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

გიორგი ტურაზაშვილი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის

ნინო ელბაქიძე, კონსტიტუციის 42-ე მუხლი

კვლევა დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებით, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის.

შესაძლებელია კვლევაში გამოხატული შეხედულებები არ ემთხვეოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.



წინასიტყვაობა

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, რომელიც 30 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, 2011 წლის 29 აპრილს ჩამოყალიბდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასამართლოს მიმდინარე რეფორმების მონიტორინგს, ასევე დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოს ჩამოყალიბების პროცესში დაეხმაროს პროფესიული იურიდიული ასოციაციების, იურიდიული უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების შეთანხმებულ მუშაობას. კოალიცია შეიქმნა პროექტის *სამოქალაქო* ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ. პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან (EWMI) თანამშრომლობით.

კოალიციის ფარგლებში შექმნილია სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან შემდეგი ორგანიზაციები: „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“; „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“; „ადამიანის უფლებათა ცენტრი“; „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“; „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“; ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“. სამუშაო ჯგუფი დაინტერესებულია, აღკვეთის ღონისძიებების კანონმდებლობის რეფორმით და მუშაობს აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზზე. აღნიშნული საკითხის შესწავლისას სამუშაო ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა როგორც საკანონმდებლო ჩარჩოზე, ისე ამ მიმართულებით განვითარებულ პრაქტიკაზე. უფრო კონკრეტულად, კვლევამ მოიცვა შემდეგი საკითხები: 1. აღკვეთის ღონისძიების რეგულირება შიდა კანონმდებლობაში; 2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობა; 3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი; 4. ევროპული სასამართლოს მიდგომა აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებაში; 5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა; 6. რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით: პირველ რიგში, შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის სფეროში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მარეგულირებელი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა. კანონმდებლობის შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული პრობლემები აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების კუთხით და შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები.

კვლევის პრაქტიკული ნაწილის შექმნის მიზნით შესწავლილ იქნა კოალიციის ფარგლებში შექმნილი სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – პრაქტიკა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე 2010 წლის 01 ოქტომბრიდან 2012 წლის 28 თებერვლამდე პერიოდში. ამ მიზნით შესწავლილ იქნა სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების მიერ სასამართლოს მიერ გამოტანილი 50-მდე განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. განხორციელდა განჩინებებისა და ინფორმაციის შეჯამება და ანალიზი, მომზადდა რეკომენდაციები და ა.შ. გამოიკვეთა დადებითი და უარყოფითი პრაქტიკა და შემუშავდა რეკომენდაციები.

კვლევის განხორციელების მიზნით ასევე ჩატარდა ღრმა ინტერვიუები შემდეგ პირებთან: სახალხო დამცველთან (გიორგი ტულუში); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთან (ლევან მესხორაძე); საქართველოს მთავარი პროკურატურის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრ და სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ადვოკატებთან.

წინამდებარე კვლევა სამი ძირითადი თავისგან შედგება. პირველი თავი ეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის ანალიზს და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები. მეორე თავი მოიცავს იმ საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვას, რომელიც ეხება აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხს. მესამე თავი მოიცავს პრაქტიკის ანალიზს, რომელშიც გამოკვეთილია


სამართალწარმოებაში არსებული პრობლემები და წარმოდგენილია რეკომენდაციები არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კოალიციის ფარგლებში შექმნილი სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის ყველა ექსპერტს, ინტერვიუერსა და პრაქტიკოს ადვოკატს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევის განხორციელებაში.

1. ადგილობრივი საკანონმდებლო რეგულირება

წარმოდგენილი დოკუმენტი მიმოიხილავს ალკვეთის ღონისძიებების გამოყენების ზოგად სურათს. ამასთან, ვინაიდან ალკვეთის ღონისძიების ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს პატიმრობა, რომლის გამოყენების ხვედრითი წილი საერთო სტატისტიკაში საკმაოდ დიდია, ანგარიშში აქცენტი გაკეთებულია სწორედ პატიმრობის გამოყენების ინტენსივობასა და საფუძვლიანობაზე. ალკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხი ანგარიშში შეფასებულია, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე ძირითადი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, რის საფუძველზეც ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ალკვეთის ღონისძიებების გამოყენების 13 309 შემთხვევიდან პატიმრობა შეფარდებულ იქნა 6558 შემთხვევაში (49.3%), 2010 წელს კი 14 959 შემთხვევიდან – 8109 შემთხვევაში (54.2%). დანარჩენ შემთხვევებში გამოყენებული იყო არასაპატიმრო ალკვეთის ღონისძიებები, რომელთაგან ყველაზე ხშირად ხდებოდა გირაოს შეფარდება. 2011 წელს ალკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეფარდებულ იქნა 6726 შემთხვევაში (50.5%), 2010 წელს კი – 6757 შემთხვევაში (45.2%)¹



გირაო, მიუხედავად მისი არასაპატიმრო ხასიათისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საპატიმრო ღონისძიებებთან, ვინაიდან გირაოს შეფარდება შესაძლოა, მოხდეს პატიმრობის უზრუნველყოფით. ამასთან, გირაოს გადაუხდელობამ შეიძლება გამოიწვიოს პირისთვის უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, კერძოდ, პატიმრობის შეფარდება. აღნიშნული კი შეიძლება მოტივირებული იყოს გირაოს სახით არაგონივრულად დიდი თანხების ან გირაოს თანხის გადახდისთვის მცირე დროის შეფარდებით. შესაბამისად, მოცემული ანგარიშის ფარგლებში, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების და კერძოდ, გირაოს შეფარდების შესაძლებლობა განხილული იქნება სწორედ გირაოსა და პატიმრობას შორის არსებული ურთიერთკავშირის ფონზე.

1.1. აღკვეთის ღონისძიების რეგულირება შიდა კანონმდებლობაში:

საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვამდე, უნდა გამოიკვეთოს დაცვის ის გარანტიები, რაც პირს ეროვნული კანონმდებლობით გააჩნია. უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეზღუდვა კანონით მკაცრად გაწერილი მიზნებითა და საფუძვლებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

მიხედვით, აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენებას აქვს შემდეგი მიზნები: ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა, ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა. საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად და ამომწურავად ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, მათ შორის *დასაბუთებული ვარაუდი* იმისა, რომ:

- ბრალდებული მიიმალება;
- არ გამოცხადდება სასამართლოში;
- გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს;
- ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას აღნიშნული საფუძვლებიდან სახეზე უნდა იყოს ერთ-ერთი მაინც. ამასთან, მათი არსებობის შესახებ უნდა არსებობდეს მინიმუმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც, თავის მხრივ, სათანადო, რელევანტური ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობას მოითხოვს.

კიდევ ერთ კანონისმიერ გარანტიას წარმოადგენს პროკურორის შეზღუდვა აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევისას. ამასთან, ამ ნაწილში კანონმდებლობა მტკიცების ტვირთს სრულად ბრალდების მხარეს აკისრებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მისი მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების, მოწმეზე ზემოქმედების, მტკიცებულებების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე.

გარდა ამისა, კოდექსის მიხედვით, პატიმრობის ან სხვა აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიებით ანალოგიური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ბრალდების მხარის ვალდებულებაა დაასაბუთოს, რატომ არის საჭირო ზოგადად აღკვეთის ღონისძიებისა და კონკრეტულად აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენება.

სასამართლო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვალდებულია, გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ან/და ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და ა.შ.

კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების და მისი ცალკეული სახის გამოყენებას უკავშირებს მიზანშეწონილობისა და პროპორციულობის საკითხის შეფასებას და ამგვარად ცდილობს პირის თავისუფლების სასარგებლოდ არსებული პრეზუმფციის გამყარებას. აღნიშნული საკითხების გააზრება კი, თავის მხრივ, მოითხოვს, საფრთხეების, საქმის ვითარებისა და ბრალდებულის პიროვნების ინდივიდუალურად შეფასებას, ასევე ცალკეული საქმეებისთვის დამახასიათებელი სფეციფიკის გათვალისწინებას. ამასთან, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თითოეულ საფუძველს თავისი დამოუკიდებელი დასაბუთება უნდა გააჩნდეს, ასე მაგალითად:

- პირის მიმალვის საფრთხე – შეუძლებელია აღნიშნული საფრთხის აბსტრაქტულად არსებობა, თუკი მის რეალურობას კონკრეტული გარემოებები არ განაპირობებს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის მიმალვის საფრთხის შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული, როგორც პიროვნების ხასიათის თავისებურებები, ისე საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და მოსალოდნელი სასჯელის ხასიათი. ამასთან, უნდა შეფასდეს, შეიძლება თუ არა წარმოშვას სასჯელის სიმძიმემ მიმალვის სურვილი. ასევე გასათვალისწინებელია იმ ობიექტური გარემოებების არსებობა, რამაც შეიძლება სისრულეში მოიყვანოს ბრალდებულის ასეთი სურვილი.

ამის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული „ბრალდებულის“ ხელთ არსებული ფინანსური რესურსები, ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუწევს მიმალვის შემთხვევაში; ოჯახური მდგომარეობა და კავშირები; ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ; მოსალოდნელი განაჩენის სიმკაცრე; ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის განსაკუთრებული პირობები;

ბრალდებულის მჭიდრო კონტაქტები მისი დაკავების ქვეყანაში; გარანტიების ხარისხი, რომლითაც უზრუნველყოფილია პირის სასამართლოში გამოცხადება და ა.შ“.

- პირის სასამართლოში გამოუცხადებლობის საფრთხე – საფრთხის დასაბუთებისას მხედველობაშია მისაღები ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები. უნდა შეფასდეს პირის დამოკიდებულება მართლმსაჯულების სისტემასთან, წინა პერიოდის ურთიერთობები საგამომიებო თუ საქმის განმხილველ სხვა უწყებებთან. მნიშვნელოვანია, სათანადო ყურადღება მიექცეს პირის საკუთარი ინიციატივით გამოცხადებას სამართალდამცავ ორგანოში, ასევე ყველა სხვა ფაქტობრივ გარემოებას (გამოუცხადებლობის/კომუნიკაციის გამწელების ფაქტები) და წარსულ გამოცდილებას, რაც ამყარებს ან გამორიცხავს ასეთი საფრთხის რეალურობას.
- მტკიცებულებების განადგურების ან მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხე – ცალსახაა, რომ ამგვარი საფრთხე პროცესის წარმოების ყველა ეტაპზე რელევანტური არ შეიძლება იყოს. ასევე მხედველობაშია მისაღები კონკრეტული საქმის მახასიათებლები და ფაქტობრივი გარემოებები. ასე მაგალითად, თუკი მიმდინარეობს საგამომიებო მოქმედებები ორგანიზებული დანაშაულის გამომიების მიზნით, ამ შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზემოქმედების საფრთხე, შესაძლოა, მომეტებული იყოს. თუმცა, სხვა შემთხვევებში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საქმის განხილვისას საგამომიებო მოქმედებების უმეტესობა ჩატარებულია, ასეთი საფრთხე აღარ არსებობს.
- მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხარემ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთოს, ბრალდებულის შესაძლებლობა (და არა მხოლოდ შესაძლო განზრახვა ან სურვილი), გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე. ასევე, აღნიშნულ საფუძვლზე აღკვეთის ღონისძიების

მოთხოვნისას მითითება უნდა გაკეთდეს იმ საპროცესო ღონისძიებებზე, რომელთა ჩატარებასაც შეიძლება საფრთხე შეექმნას.

- ამასთან, კონკრეტული საქმის მიმართ მტკიცებულებების განადგურების ან მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხე ინდივიდუალურ შეფასებას და გადაწყვეტას მოითხოვს. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის შემდეგაც პირი არ მიმალულა, ან როდესაც პირი საკუთარი ინიციატივით ცხადდება სამართალდამცავ ორგანოებში. ასეთ შემთხვევებში არ არსებობს მტკიცებულების განადგურების ან მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის პირობა და, შესაბამისად, ამ საფუძველზე დაყრდნობით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება გაუმართლებელია ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება – ცალკეულ შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად ბრალდება უთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მოტივს. აქ იგულისხმება, როგორც უკვე ჩადენილი დანაშაულის განმეორებით ჩადენა, ისე სხვა ტიპის დანაშაულის ჩადენა. ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული საფრთხე საქმის გარემოებათა ერთობლიობის ტესტით უნდა შეფასდეს. მათ შორის, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული: პირის ნასამართლობა, მისი მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისადმი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანია, ცალკე აღებული თითოეული მათგანი მაინც არასაკმარისი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა შესაძლოა, კვლავ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.
- გასათვალისწინებელია, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში ბრალდებული პირის მიმართ ა/ღ გამოყენების დასაბუთება მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების საფუძველით, არაგონივრულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის დასაბუთებულ ვარაუდს გვამლევს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთობლიობა, სადაც მაქსიმალურად არის წარმოჩენილი ფაქტები და ინფორმაცია, რაც, თავის მხრივ, ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ

შესაძლოა, არსებობდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან ერთ-ერთი მაინც.

პროკურატურის წარმომადგენლის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას ბრალდების მხარეს არ ევალება კონკრეტული წერილობითი მტკიცებულების წარდგენა ყოველი კონკრეტული გარემოების დასადასტურებლად. ზოგჯერ საქმის გამოძიებისას ან პირის დაკავებისას გამოვლენილი ფაქტები ან/და გარემოებები ადასტურებენ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას.

თუმცა, გარდა ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობისა, აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობა. მოცემული კვლევის მიზნებისთვის, პროპორციულობის ტესტი განხილულია საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებასთან მიმართებაში.

1.2. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობა

ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობა წარმოადგენს ბრალდების მხარის მტკიცების კიდევ ერთ საგანს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეული იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღკვეთის სახის პროპორციულობის შეფასების საკითხი დგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიშვება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ზოგადად.

პროპორციულობის დაცვის მიზნებისთვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გვთავაზობს ალტერნატიული სახის აღკვეთის ღონისძიებებს, რომლებიც ერთმანეთისგან სიმკაცრის მიხედვით განსხვავდება. ამასთან, საპროცესო კოდექსი ადგენს პროკურორის ვალდებულებას დაასაბუთოს, რატომ არის საჭირო კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების

გამოყენება და ამასთან, რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

ეს უკანასკნელი, აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობის შეფასებას უკავშირდება.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, „დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ამასთან, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისათვის.“

ამასთან, პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისთვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც ეროვნული კანონმდებლობით, ერთობლივად აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. ამ უკანასკნელთან მიმართებაში კანონმდებლობა მიუთითებს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, პატიმრობა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა ღონისძიებით შეუძლებელია.

ა/დ არსებულ საკანონმდებლო ბაზას სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლები განსხვავებულად ახასიათებენ. სახალხო დამცველის განცხადებით: „ბოლო დროს შეიცვალა საპროცესო კანონმდებლობა, მასში ჩაიდო არაერთი პოზიტიური ცვლილება. არის საკითხები, რომლებიც, როგორც მთელ რიგ უფლებადამცველ ადვოკატებს მიაჩნიათ, საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. თუმცა, საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნამდვილად არ არის ცუდი, ანუ მისი გამოყენება სასამართლოს სავსებით ნორმალურად შეუძლია“.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ახალი რეგულირება, რომელმაც გაიარა ექსპერტიზა ევროსაბჭოში, სრულად ასახავს იმ მოთხოვნებს, რაც გამომდინარეობს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლიდან. მისივე განცხადებით, რიგი საკითხები ძველი საპროცესო კოდექსის პირობებშივე გამოსწორდა. თუმცა ახალი

საპროცესო კანონმდებლობა, ძველისგან განსხვავებით, აღარ ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, როგორც ა/დ სახით პატიმრობის გამოყენების გარემოებას. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინებების აღსრულებას. კერძოდ, 2011 წლის 14 სექტემბერს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო ერთიანი დასკვნითი რეზოლუცია (CM/ResDH(2011)105), რომლითაც აღსრულებულად გამოცხადდა ევროსასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის პრობლემებთან დაკავშირებით გამოტანილი სამი განჩინება („ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“ (№ 30779/04), „გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (№ 18145/05) და „რამიშვილი და კობრიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (№1704/06)). აღნიშნული განჩინებების აღსრულება მოწმობს, რომ საქართველოს მთავრობამ ეფექტიანად გაატარა ინდივიდუალური და ზოგადი ხასიათის ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით აღმოიფხვრა აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული სტრუქტურული პრობლემები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა დაცვის მხარის პოზიცია და ის, თუ რა ბერკეტებს ხედავს კანონმდებლობაში. ერთ–ერთი ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულის მხარე პრიორიტეტულ მდგომარეობაშია. სუსტია დაცვის მხარის შესაძლებლობები. ეს რეალობა გადახედვას და ახალ რეგულაციას მოითხოვს. ამას გარდა, ადვოკატის მიერ ასევე აღინიშნა, რომ ნორმები, რომლებიც არეგულირებს ა/დ საკითხებს, სასამართლო პრაქტიკაში ასახვას თითქმის არ ჰპოვენ. ბრალდებულისა და დაცვის მხარისთვის სათანადო გარანტიები შექმნილი არ არის.

მიუხედავად ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ამ გარანტიებისა, აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრაქტიკა საინტერესოს ხდის მისი, როგორც შიდა საკანონმდებლო რეგულირების ანალიზს, ისე იმ საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვას, რაც ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა. უმთავრეს საზომად, ბუნებრივია, აღებულია ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის განმარტების ფარგლებში დადგენილი სტანდარტები, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

1.3. ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი

ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების გასაჩივრების წესები მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლში, რომელიც განმარტავს ა/ღ-ის გამოყენების საპროცესო დოკუმენტის გასაჩივრების წესსა და საშუალებებს. ა/ღ გასაჩივრების პროცედურებში შეიძლება გამოიყოს ორი საკითხი, რომელიც ა/ღ გამოყენების გასაჩივრების პროცესს მნიშვნელოვნად აბრკოლებს და ფორმალურ უფლებად აქცევს:

- გასაჩივრებაზე უფლებამოსილი სუბიექტი;
- გასაჩივრების საფუძვლები/პირობები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა ან ბრალდებულმა. ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.“

მსგავსი ჩანაწერი დაცვის მხარისათვის გარკვეულ სირთულეებს ქმნის. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ა/ღ შეფარდება დაემთხვევა დასკვნების დღეებს, დროის სიმცირის გამო, დამცველმა შესაძლოა ვერ მოახერხოს ბრალდებულის თანხმობის მიღება და ა/ღ გასაჩივრება. გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებული ბრალდებულის თანხმობა აბსოლუტურად ფორმალური ხასიათისაა, რაც ხშირად ქმნის პრობლემას ა/ღ გასაჩივრებისას. შესაბამისად, უმჯობესი იქნება, ა/ღ გამოყენების გასაჩივრებისას ბრალდებულის თანხმობა სავალდებულო არ იყოს.

ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნა, ა/ღ გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების გასაჩივრების კუთხით მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა ა/ღ გასაჩივრებისთვის დადგენილ გარკვეულ წინაპირობებს უკავშირდება.

სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „საჩივარს უნდა დაერთოს მომჩივანის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი (მასალები) იმ ახალ გარემოებათა შესახებ, რომელიც უცნობი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის.“

წინასწარი თუ სასამართლო გამოძიებების ნებისმიერ ეტაპზე ბრალდებული და მისი დამცველი უფლებამოსილი არიან, გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართონ სასამართლოს გამოყენებული ა/ღ შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობით. შუამდგომლობაში დაცვის მხარემ უნდა წარმოაჩინოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა და მიუთითოს ყველა ის ახალი გარემოება, რომელიც უცნობი იყო ა/ღ შეფარდებისას და რომელსაც ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა პირისათვის ა/ღ შეფარდების მართლზომიერებაზე.

საჩივარი ა/ღ შეცვლის ან გაუქმების თაობაზე დასაშვებობის ეტაპზე მოსამართლის მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. ა/ღ გასაჩივრების არსებული წინაპირობები კი საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის. პრაქტიკაში, თუ საჩივარს დართული არ აქვს ახალი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, სასამართლო საჩივარს დაუშვებლად ცნობს. მაგალითად, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული არ იქნა სათანადოდ შეფასებული, მიუხედავად აღნიშნული ა/ღ შეფარდების გასაჩივრებისა, თუ დაცვის მხარე საჩივარს არ დაურთავს სხვა ახალ მტკიცებულებებს, რაზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, სააპელაციო სასამართლო აღნიშნული კატეგორიის საჩივარს დაუშვებლად ცნობს.

აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კანონი აწესებს მოთხოვნას, ბრალდებულმა სასამართლოს წარუდგინოს ახალი გარემოება, რის საფუძველზეც ითხოვს ა/ღ შეცვლას, ან გაუქმებას. ბრალდებულს და მის დამცველს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ ა/ღ უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში, თუმცა საჩივარი, პირველ რიგში, მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს და

დასაშვებობის სტადია უნდა გაიაროს. ამასთან, მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდებულს, რათა ნათლად აჩვენოს ახალი გარემოება, რომელიც სასამართლოს ა/დ შეცვლასა ან გაუქმებაზე მსჯელობის უფლებას მისცემს.

ამგვარი ვითარება დაცვის მხარეს ფაქტობრივად უზღუდავს სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას, მკაცრი და მთელ რიგ შემთხვევებში, არაადეკვატური პროცედურული შეზღუდვების დაწესებით. ზემოთ განხილული ფაქტორები ა/დ გასაჩივრების უფლებას ფორმალურ, მოჩვენებით უფლებად აქცევს.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ბრალდების მხარე კანონმდებლობაში არსებულ გასაჩივრების მექანიზმს განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს. კერძოდ, პროკურატურის წარმომადგენლის მოსაზრებით, აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების მექანიზმი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ძალიან კარგი ბერკეტი. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს წარედგინოს ახალი გარემოებები, რომლებიც უცნობი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის.

ბრალდების მხარისთვის ახალი გარემოების წარდგენა არის მხოლოდ და მხოლოდ „შესაძლებლობა“, რომელიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნას გასაჩივრებაზე უფლებამოსილი რომელიმე სუბიექტის მიერ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. დასახელებულის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს არსებული პრაქტიკა, რომელიც სააპელაციო სასამართლოსთვის ახალი გარემოების წარდგენას კანონმდებლის იმპერატიულ მოთხოვნად განიხილავს. ევროკონვენცია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კონკრეტულ მექანიზმზე (მაგ. სააპელაციო, ანუ მეორე ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების აუცილებლობაზე) არ მიუთითებს. პრეცედენტული სამართლის მიხედვით უმთავრესად მიიჩნევა ის გარემოება, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების გადასინჯვის საშუალება თუნდაც იმავე ინსტანციის სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირს შესაძლოა აძლევს, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები და სასამართლოს გზით გადასინჯოს დებულებები, რომლებიც მცდარად მიაჩნია. აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების მექანიზმი მოიცავს რამდენიმე ძირითად ელემენტს, რაც მიმართულია კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვისაკენ. კერძოდ: აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრება მხარეს აძლევს საშუალებას პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომელიც მას უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია, გაასაჩივროს და კიდევ ერთხელ დაასაბუთოს თავისი მოსაზრების ჭეშმარიტება, მიიღოს გადასინჯული, სამართლიანი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გასაჩივრება იძლევა საშუალებას, წარმოდგენილ იქნეს დამატებითი მტკიცებულებები, რაც მხარემ ვერ წარმოადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

გასაჩივრებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა კოალიციის წარმომადგენლისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ გასაჩივრების მექანიზმი არსებობს და სტანდარტებს სავსებით აკმაყოფილებს. მისივე განცხადებით, შესაძლოა ვიმსჯელოთ ვადებზე, რამდენად გონივრულია ის ვადა, რომელიც ეძლევა ბრალდებულს, რომ გაასაჩივროს ა/დ გადაწყვეტილება. ამასთან, პრობლემა უფრო მეტად ა/დ გამოყენების პრაქტიკაში ვლინდება.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, ხელმისაწვდომობის მხოლოდ ფორმალური გარანტიის არსებობას არ გულისხმობს. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გულისხმობს მთელ რიგ გარანტიებს, როგორც საჩივრით მიმართვის, ისე საჩივრის დასაშვებობისა და არსებითად განხილვის ეტაპზე.

პატიმრობის კანონიერების სასამართლო ზედამხედველობა მოიცავს ბრალდებულის უფლებას გაასაჩივროს პატიმრობის კანონიერება სასამართლოს წინაშე, რომელმაც, თავის მხრივ, სწრაფად უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება გათავისუფლების შესახებ, თუკი პატიმრობა უკანონოა.

დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება უნდა ჰქონდეთ, გადასინჯულ იქნეს მათი პატიმრობის კანონიერება, როგორც არსებითად, ისე პროცედურულად. სასამართლოს მიერ პატიმრობის კანონიერების გადასინჯვა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ გადასინჯვის უფლება არ იყოს თეორიული და ილუზორული, არამედ – პრაქტიკული და ეფექტიანი. ნებისმიერ შემთხვევაში, ხსენებული სამართალწარმოება უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს ძირითად მოთხოვნებს, რაც ზემოგანხილული ნორმების შემთხვევაში, დარღვეულია.

2. ევროპული სასამართლოს მიდგომა ალკვეთის ღონისძიებებთან მიმართებაში

საპატიმრო ალკვეთის ღონისძიებების ეროვნულ დონეზე რეგულირების შეფასების საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია *„პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის ალკვეთის აუცილებლობა“* და, მეორე მხრივ, ევროპული სასამართლოს განმარტებები, რომლებმაც უფრო ცხადი გახადა პირის თავისუფლების შეზღუდვის შინაარსი და ფარგლები.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისთვის დაწესებული უპირველესი ვალდებულება ცხადად არის მოცემული მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში, რომლის მიხედვითაც ზემოხსენებული საფუძვლებით დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს, ან საქმის განხილვის განმავლობაში გათავისუფლდეს. ამასთან, გათავისუფლება პროცესზე გამოცხადების გარანტიებით შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი.

პირის თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ღონისძიება განხილულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და, მეორე მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფისათვის, პირის თავისუფლების მნიშვნელოვნების ფონზე. შესაბამისად, მხოლოდ ეჭვის არსებობა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ, ვერ გადაწონის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას, სანამ

უტყუარი, რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით არ იქნება დადასტურებული თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა და გარდაუვალობა.

ევროპულმა სასამართლომ ცხადად განმარტა, რომ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, პირის ხანგრძლივ პატიმრობას თავისთავად არ ამართლებს.

ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ პატიმრობის გამოყენების საჭიროება უნდა ეფუძნებოდეს დამაჯერებელ და თანმიმდევრულ საფუძვლებს, რომელთა შეფასებაც კონკრეტულ გარემოებებში უნდა მოხდეს.

სასამართლოს მსგავსი განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ არ არსებობს აბსტრაქტული საფრთხეები, რომლებმაც პირის პატიმრობის საჭიროება შეიძლება გამოიწვიოს ისევე, როგორც საფრთხეები რეალური და მყისიერი შეიძლება არ იყოს პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში. თუკი ასეთი საფრთხე არსებობს, მისი რეალურობა და მყისიერება კონკრეტულად აღქმადი, დამაჯერებელი და რელევანტური გარემოებებით უნდა იყოს დამოწმებული. ამასთან, საფრთხეების განეიტრალებასთან ერთად, პატიმრობის უპირობოდ შეწყვეტის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხე (რაც პირის პატიმრობის გამამართლებელი ერთ-ერთი გარემოება შეიძლება იყოს) აღარ არსებობს იმ ეტაპზე, როდესაც მტკიცებულებები შეკრებილია.

სასამართლოს მსგავსი მიდგომა მიუთითებს პატიმრობის საფუძვლიანობის მუდმივი გადახედვის საჭიროებაზე, ვინაიდან პატიმრობის საწყის ეტაპზე არსებული საფრთხე, რაც პატიმრობას ამართლებდა, შესაძლოა განეიტრალდეს და, შესაბამისად, პირის პატიმრობაში დატოვება გაუმართლებელი გახადოს.

პატიმრობის შუამდგომლობის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა.

სწორედ ბრალდებამ უნდა ამტკიცოს იმ გარემოებების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზეც და შემდგომშიც, პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, პირის თავისუფლების

აღკვეთას ამართლებს. ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოებს ევალეზათ „შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან.“

განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიდგომა სასამართლოს როლზე პირის თავისუფლების დაცვასთან მიმართებაში. ამ მხრივ, საყურადღებოა რამდენიმე საქმე, მათ შორის, საქმე საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც აღინიშნა: „ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს საქართველოს ეროვნული სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან ... და მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ბრძანების ფორმით, იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ სასამართლოს განეხორციელებინა თავისი მოვალეობა და მოეძია მყარი არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად, სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებულ და წინასწარ დაბეჭდილ ზოგად ნიმუშში ჩაწერილი აბსტრაქტული დებულებებით. ხსენებული პრაქტიკა პირდაპირ მიუთითებს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ საკითხის განხილვის ”შესაბამისი გულმოდგინების“ არარსებობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სულისკვეთებასთან“.

საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიდგომა საქმეზე „გიორგი ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება 9 თვისა და 12 დღის განმავლობაში, უსაფუძვლო და გაუმართლებელი იყო.

აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა: „აუცილებელია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული იყოს არსებული მიზეზები და აპლიკანტის მიერ მოყვანილი არგუმენტები. ამით სასამართლო სარგებლობს მინიჭებული უფლებით, რათა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის

გათვალისწინებით გადაწყვიტოს, იყო თუ არა დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიება. ეს გადაწყვეტილებები უნდა მოიცავდეს შესაბამის და დასაბუთებულ არგუმენტებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოცემული საქმის სპეციფიკურ ნიშან-თვისებაზე, რათა დასაბუთდეს თავისუფლების აღკვეთის საჭიროება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინასწარი დაკავების ნებისმიერი პერიოდი, რა ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს ის, საჭიროებს კომპეტენტური ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის მოტივაციას, რომელიც მითუმეტეს ვალდებულია, გამოამჟღავნოს „განსაკუთრებული გულმოდგინება“ სასამართლო განხილვის წარმართვისას.“

დასასრულს, სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როდესაც ოფიციალური პირები წყვეტენ პატიმრის გათავისუფლების საკითხს, ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ალტერნატიული ღონისძიებები სასამართლოს წინაშე აპლიკანტის წარდგენის უზრუნველსაყოფად. მართალია, ეს დადგენილება მიუთითებს, არა მხოლოდ გონივრულ ვადაში საქმის განხილვაზე, ან საქმის განხილვის განმავლობაში გათავისუფლების უფლებაზე, არამედ ასევე ადგენს, რომ ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.

სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ წუხილი გამოხატა თურქეთის წინააღმდეგ განხილულ ერთ-ერთ საქმეზეც, სადაც აღნიშნა, რომ „პირველი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ადასტურებდა პატიმრობას, გამოყენებული იყო თითქმის იდენტური და, შეიძლება ითქვას, ბანალური გამოთქმები, ხოლო სამ შემთხვევაში მიზეზები საერთოდ არ ყოფილა მოყვანილი. ამ გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი წარმოდგენილ დასაბუთებასთან დაკავშირებით“.

ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა ნათლად მოწმობს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების საგამონაკლისო ბუნებაზე, რომლის გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული საქმესთან და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და

ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, ყოველგვარი ასეთი კონკრეტული მახასიათებელი თუ გარემოება, წარმოდგენილი უნდა იყოს იმ გადაწყვეტილებაში, რომლითაც პირს პატიმრობა ეფარდება.

რაც შეეხება ბრალდებულის სხვა სპეციალურ პროცესუალურ უფლებებსა და გარანტიებს, აღნიშნული მოცემულია ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც უფლებას ანიჭებს ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს პატიმრობის კანონიერების შემოწმება. სასამართლოს დროული კონტროლი, პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის ტექსტით განმტკიცებული შემდგომი სასამართლო კონტროლის უფლება, რაც პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვას გულისხმობს, დაკავებული პირის სასამართლოში პირველადი წარდგენის ვალდებულებისგან სრულიად დამოუკიდებელია.

2.1. ბრალდებულის უფლებები კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად

მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული კონვენციის ტექსტი გარანტიების ყოვლისმომცველ და სრულყოფილ ჩამონათვალს არ შეიცავს, თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებების ფარგლები დადგენილია ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკით, რომლის მიხედვითაც კონვენციის მე-5 (4) მუხლით გარანტირებული უფლებები შემდეგნაირად გამოიყურება:

ა) დაკავების/პატიმრობის კანონიერების ეფექტიანი გადასინჯვის უფლება – სასამართლოს მიერ. დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება აქვთ, მათი პატიმრობის კანონიერება გადასინჯულ იქნეს, როგორც არსებითად, ისე პროცედურულად. კანონმდებლობით უნდა განმტკიცდეს, რომ გადასინჯვის შედეგად შესაძლებელი იყოს ბრალდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სწრაფი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, თუკი დამტკიცდება, რომ პატიმრობა

არაკანონიერი ან გაუმართლებელი გახდა გარკვეული დროის შემდეგ ან ცალკეული მოვლენებიდან გამომდინარე.

ერთი საინტერესო დეტალი, რაც ამ უფლებასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა არის ის, რომ სასამართლომ უნდა განიხილოს არა მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო მოთხოვნების შესრულება, არამედ ასევე იმ ექვსის გონივრულობა, რომელსაც ემყარება დაკავება და იმ მიზნის ლეგიტიმურობა, რომელსაც დაკავება და შემდგომი პატიმრობა ემსახურება.

ბ) მოსმენის გამართვის უფლება – ევროპული სასამართლოს განმარტებით, „იმ პირის შემთხვევაში, რომლის დაპატიმრებაც ექცევა მე-5 მუხლის 1(გ) პუნქტის ფარგლებში, მოსმენის გამართვა აუცილებელია.“

ვ) თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითი პროცესის უფლება, რაც გულისხმობს ორივე მხარის შესაძლებლობას, გაეცნოს და გამოთქვას საკუთარი აზრი მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და არგუმენტაციაზე. „არ არის აუცილებელი მე-5(4) მუხლთან დაკავშირებული სამართალწარმოება აკმაყოფილებდეს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც მოთხოვნილია სამართლიანი სასამართლოს უფლებით (მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი). თუმცა, ეს უნდა იყოს სამართალწარმოება, რომელიც პირს უზრუნველყოფს იმ გარანტიებით, რომელთა გამოყენებითაც იგი ეფექტიანად იდავებს მის მიმართ პატიმრობის შეფარდების სამართლიანობის თაობაზე. იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება გადასინჯვის პროცედურა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონკრეტული გარემოებები და სამართალწარმოება აკმაყოფილებდეს სამართლიანი სასამართლოს ძირითად მოთხოვნებს.“

გ) საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლება – ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს საგამოძიებო მასალებზე ხელმისაწვდომობა, რაც საფუძველია იმისა, რომ პატიმარმა სადავოდ გახადოს ის არგუმენტაცია და ფაქტები, რომელთა საფუძველზეც წინასწარ პატიმრობას უფარდებენ.

ამასთან, ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობისთვის ხელისუფლების ორგანოების წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომ მხარეს ეცნობოს პატიმრობის გადასინჯვის პროცედურის შესახებ, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა, წარადგინოს კომენტარები იმ არგუმენტაციასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც ხდება წინასწარი პატიმრობის გაგრძელება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ არის დაცული, როდესაც „დამცველს ხელი არ მიუწვდება გამოძიების მასალებში არსებულ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც აუცილებელია მისი კლიენტის დაპატიმრების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისთვის.“

დ) დამცველის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული უფლება, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, სახაზინო ადვოკატის ყოლის უფლებას გულისხმობს.

ე) უფლება საქმის დროულ განხილვაზე.

შეჯიბრებითი პროცესის უფლებასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს 2010 წლის 27 მაისს ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე „სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც სასამართლომ განაცხადა, რომ "შიდა კანონმდებლობით და პრაქტიკით, პროკურორს უპირატესობა გააჩნდა საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, შუამდგომლობებით მიემართა სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში პატიმრობის გაგრძელების თაობაზე, რაზეც პირველი განმცხადებელი ვერ იდავებდა ვერც ზეპირსიტყვიერად და ვერც წერილობით. შესაბამისად, 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვა მოკლებული იყო შეჯიბრებითობას და ხსენებულის დროს მხარეთა თანასწორობის პრინციპი დარღვეული იყო".

2.2. ევროპული სასამართლოს მიდგომა გირაოს გამოყენებასთან მიმართებაში

საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიდგომა, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ თავისი მიდგომა რამდენიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა, მათ

შორის: რა შემთხვევაში არის/არ არის გონივრული გირაოს გამოყენება, როგორ უნდა მოხდეს გირაოს ოდენობის გამოთვლა, რა არის სახელმწიფოს ვალდებულება არასაკატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, „გირაო შეიძლება საჭირო იყოს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ არსებობს პატიმრობის გამართლების დამაჯერებელი მიზეზები“.

ამასთან, გირაოს გამოყენება, თავისთავად ცხადია, გონივრულად არ არის მიჩნეული სისხლის სამართლის ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ მიუთითა, რომ „მისი გამოყენება არ იქნება ეფექტიანი მტკიცებულებების განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის, ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით.“

გირაოს ოდენობასთან დაკავშირებული საკითხი, როგორც დასაწყისში აღინიშნა, მჭიდროდაა დაკავშირებული აღკვეთის ღონისძიებების დამძიმებასთან, იმ შემთხვევაში, თუ სათანადო დროში ვერ მოხდება შეფარდებული გირაოს გადახდა. ამიტომ, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიდგომა გირაოს ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით: „გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პატიმრის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან, სხვა სიტყვებით, რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვა ან თავდები პირის მიმართ საქმის აღძვრა, მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარის შემთხვევებელ ფაქტორს.“

და ბოლოს, გირაოს შესაძლო სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას სახელმწიფოებს იგივე გულმოდგინების ვალდებულება დააკისრა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის აუცილებლობის გადაწყვეტისას.

3. დასკვნა

ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა, მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთას შესაძლებელს ხდის. შედარების

საფუძველზე გამოკვეთილი მიგნებები კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა შეფასდეს აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული წუხილები რამდენად არის დაკავშირებული ამ მექანიზმის საკანონმდებლო რეგულირებასთან და რამდენად, მის პრაქტიკაში გამოყენებასთან.

როგორც ზემოთ გამოჩნდა, ეროვნული კანონმდებლობა პირის დაცვის რამდენიმე გარანტიას შეიცავს, რაც ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომის მსგავსად, პირის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას განამტკიცებს. ასეთ გარანტიებს შორის უმთავრესია, ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეზღუდვა კანონით მკაცრად გაწერილი ოთხი საფუძვლით და მათ შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობით. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიებების კონკრეტული სახის გამოყენებას, კანონმდებლობა ბრალდების მხარეს ისევე, როგორც სასამართლოს, აკისრებს ვალდებულებას, აღკვეთის ღონისძიების შერჩევას დაცული იქნეს პროპორციულობა. ამ მიზნით, კანონმდებლობა ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე სახეს და გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, მათი გამოყენება დასაშვებია. მსგავსი რეგულირება საშუალებას იძლევა მართლმსაჯულების და საზოგადოების ინტერესების, ისევე როგორც ბრალდებულის უფლებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნეს პირის თავისუფლების შეზღუდვის – პროპორციულობა.

ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გამოიყოს მტკიცების ტვირთის საკითხიც. ეროვნული კანონმდებლობა ბრალდების მხარეს ანიჭებს ვალდებულებას, შუამდგომლობაში დაასაბუთოს, ერთის მხრივ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და, მეორეს მხრივ, კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების სახის პროპორციულობა.

რაც შეეხება პატიმრობის კანონიერების გადასინჯვის უფლებას, ამ ნაწილში, განსხვავებით აღკვეთის ღონისძიებების რეგულირების სხვა საკითხებისგან, ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს ვერ პასუხობს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლობა აპელაციის უფლებით სარგებლობისთვის ახალი

მტკიცებულების წარდგენის ვალდებულების შემოღებით, ამ უფლებით სარგებლობას ილუზორულს ხდის და კანონმდებლობაში მის არსებობას რეალურ აზრს უკარგავს. ამის გათვალისწინებით, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლები ისევე, როგორც სააპელაციო საჩივრის შეტანის ფორმალური მხარე, დახვეწას საჭიროებს საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულირებისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართების ანალიზი, განამტკიცებს მოსაზრებას, რომ აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული პრობლემების უმეტესი ნაწილი საკანონმდებლო რეგულირებაზე მეტად, მექანიზმის პრაქტიკულ გამოყენებას უკავშირდება. ამის მიუხედავად, არის საკითხები, რომელთა მოგვარება სწორედ საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს, მათ შორისაა გასაჩივრების უფლებით სარგებლობა.

4. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის ანალიზისთვის შესწავლილ იქნა სასამართლოს მიერ მიღებული 50 განჩინება, მათგან 2–ის თანახმად ბრალდებულებს სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებები შეეფარდათ.

პირველადი შეფასების სახით უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეულ არც ერთ განჩინებაში ადგილი არ ჰქონია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობაზე უარის თქმას. შესაბამისად, ყველა შესწავლილ განჩინებაში დაფიქსირდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ბრალდებულების მიმართ. რაც შეეხება შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების სახეს, შესწავლილ განჩინებებში ადგილი ჰქონდა მხოლოდ პატიმრობისა და გირაოს გამოყენების შემთხვევებს, სხვა ტიპის აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. ამასთან, შესწავლილი განჩინებებიდან

არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა პროკურორის მიერ მოთხოვილი აღკვეთის ღონისძიების სახეზე უარის თქმის/შეცვლის პრეცედენტი სასამართლოს მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ანალიზის მომზადებისას გამოქვეყნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მონიტორინგის ანგარიშები, სადაც ასევე წარმოდგენილია მონიტორინგის შედეგად აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოვლენილი შედეგები. ანგარიშები მოიცავს 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტის ჩათვლით პერიოდს და შესაბამისად, ინფორმაციას სასამართლოში პირველი წარდგენის 185 სხდომის შესახებ.

მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით, 185 შემთხვევიდან, ბრალდებული არც ერთ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისგან არ გათავისუფლებულა. ამასთან, პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში განჩინებების ანალიზმა გამოკვეთა აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებული ძირითადი ტენდენციები, მათ შორის შეიძლება გამოიყოს პრობლემების რამდენიმე ძირითადი ჯგუფი:

- სასამართლოს განჩინებების შაბლონური ხასიათი;
- დაუსაბუთებულობა;
- მსგავსი გარემოებების პირობებში სხვადასხვა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება;
- ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობის არარსებობა.

თითოეული ამ პრობლემის ცალ–ცალკე განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ განჩინებებთან სტრუქტურა იდენტურია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა დასაბუთების ნაწილში სიტყვა–სიტყვით იმეორებს პროკურორის შუამდგომლობის ტექსტს. განჩინებებში საკმაო ადგილი ეთმობა ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ მსჯელობასა და მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების წარმოდგენას. ასევე ყველა შესწავლილ განჩინებაში განსაკუთრებული აქცენტი

გაკეთებული დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის წარმოჩენაზე. ამის გათვალისწინებით, განჩინებათა უმეტესობა არარელევანტური მსჯელობებით ხასიათდება.

ცალკე უნდა გამოიყოს შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სასამართლოს განჩინებაში ხდება იდენტური ფრაზების გამეორება, მაგალითად, სხვადასხვა სასამართლოების მიერ მიღებულ განჩინებებში მითითებულ იქნა: „იგი [გირაოს სახით შეფარდებული თანხა] წარმოადგენს ბრალდებულის შემდგომი ნორმალური ქცევის გარანტს და დამაფიქრებელს მისი შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის“.

ამგვარი შემთხვევები კიდევ უფრო უსვამს ხაზს განჩინებათა შაბლონურ ხასიათს.

ა/ღ გამოყენების პრაქტიკის ანალიზის ფარგლებში, რესპოდენტებს მიეცათ საშუალება გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები ა/ღ არსებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პროკურატურის პოზიციით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ამგვარ პრაქტიკას განაპირობებს გირაოსა და დაპატიმრების ეფექტიანობა. დაცვის მხარის, ადვოკატების განცხადებით, „შექმნილი პრაქტიკა, მართალია, გამართებულია ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპზე დაყრდნობით, მაგრამ ქართული პრაქტიკა მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკისაა და გამოცხადებული “ნულოვანი ტოლერანტობის” შედეგია“. ამასთან, ერთ–ერთი ადვოკატის განცხადებით, „ამ ორი ღონისძიების (გირაო და პატიმრობა) შეფარდება ხდება იმიტომ, რომ მხოლოდ ეს ღონისძიებები უზრუნველყოფენ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზნებს“.

4.1. განჩინებათა შაბლონური ხასიათი

გამოკვლევულმა განჩინებებმა ცხადყო, რომ სასამართლოები განჩინებების დასაბუთებისას იდენტურ არგუმენტაციას იყენებენ, რაც განჩინებების შაბლონურობას განაპირობებს. შესწავლილი განჩინებების მთავარი პრობლემა ფაქტების სიმწირეში მდგომარეობს. განჩინებები ეფუძნება საპროცესო კოდექსის ჩანაწერებს, რომლებიც განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს. განჩინებები მიუთითებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხეზე, მტკიცებულებების განადგურების,

მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეებზე, თუმცა საფრთხეების განმაპირობებელ გარემოებებს ვერ წარმოადგენს.

შესაბამისად, განჩინებათა უმეტესობაში სასამართლოს მიერ გამოყენებულ დასაბუთებას წარმოადგენს მითითება საფრთხეებზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რელევანტური ან რეალურია ეს საფრთხეები მოცემული საქმის გარემოებებისთვის.

სასამართლო, როგორც წესი, არ იხილავს და არ იღებს მხედველობაში კონკრეტული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს – რა წარმოშობს ეჭვს ბრალდებულის მიმალვასთან დაკავშირებით, რა ფაქტები მიუთითებენ, რომ ბრალდებული შესაძლოა ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, ზემოქმედება მოახდინოს მოწმეებზე ან გაანადგუროს მტკიცებულებები, რის საფუძველზე ივარაუდება, რომ მან შეიძლება განმეორებით ჩაიდინოს დანაშაული თავისუფლებაში ყოფნისას და რატომ შეექმნება საფრთხე საზოგადოებრივ წესრიგს ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნით. თითოეული ეს გარემოება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას.

სასამართლოს განჩინებებში ფაქტების სიმწირე თავისთავად გამომდინარეობს პროკურორის შუამდგომლობის დასაბუთების ხარისხიდან, თუმცა აღნიშნული სასამართლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის პირობებში, რომ ბრალდებულის მიერ მოხდება მართლმსაჯულებაში ჩარევა, მოწმეების დაშინება, მიმალვა ან ახალი დანაშაულის ჩადენა. თავისთავად, დასაბუთებული ვარაუდი კი კონკრეტულმა ფაქტებმა უნდა წარმოშვას, რაც სასამართლოს განჩინებაში. სათანადო დოზით უნდა იქნეს წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, თუკი პროკურორი ვერ ახერხებს საკმარისი მტკიცებულებების წარმოდგენას, სასამართლომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქვას.

სასამართლო განჩინებათა შაბლონურობა უმთავრესად გამოწვეულია სწორედ ფაქტების სიმცირით, რამაც უნდა გაამყაროს დასაბუთებული ვარაუდი კანონში მოცემული რომელიმე საფუძვლის არსებობის შესახებ. როდესაც ასეთი გარემოებები სასამართლოს

განჩინებებში მასობრივად არ არის წარმოდგენილი, განჩინებები თავისთავად შაბლონური ხასიათისა ხდება.

4.2. დაუსაბუთებლობა

როგორც კანონმდებლობის ანალიზისას აღინიშნა, საპროცესო კოდექსი შესაბამის სუბიექტებს (ბრალდებასა და სასამართლოს) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილებას აძლევს მხოლოდ იმ შენთხვევაში, თუკი არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომელიც კანონით მკაცრად გაწერილ ოთხ საფუძველს ემყარება.

აღნიშნული სასამართლოს ავალდებულებს, განჩინებაში მსჯელობა ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობიდან დაიწყოს. თუმცა შესწავლილი განჩინებები არ იცნობს ამგვარ დასაბუთებას. განჩინებებში სასამართლო მსჯელობას იწყებს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე და შემდეგ გადადის აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებაზე. გამოიკვეთა, რომ ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი, პირველ რიგში, არც პროკურორების მიერ განიხილება. სასამართლოთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაბუთებული ვარაუდის არსებობას უკავშირებს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას და მოჰყავს შესაბამისი მტკიცებულებები, რაც ამ გარემოებას მოწმობს. მაშინ როდესაც სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით პირის მიმალვის, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის, მოწმეების დაშინების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ეს კი პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის დამდასტურებელი გარემოებებისგან სრულიად განსხვავებული ფაქტების არსებობას მოითხოვს. ამის მიუხედავად, სასამართლოები მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებენ პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე და შემდგომ პირდაპირ გადადიან აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებაზე.

აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის შერჩევის ნაწილში, სასამართლოს საკმაოდ არაერთგვაროვანი მიდგომა აქვს. არ არსებობს ერთიანი ტესტი, რომელსაც სასამართლო აღკვეთის ღონისძიების შერჩევის პროცესში გამოიყენებდა. რამდენიმე განჩინებაში

სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევას იყენებს ტესტს – აქვს თუ არა ბრალდებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. აღნიშნული ტესტი სასამართლოს გამოყენებული აქვს როგორც პირის მიმალვის საწინააღმდეგო არგუმენტი, როდესაც ბრალდებულს გირაოს უფარდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ საქმეებში, სადაც სასამართლო უარს ამბობს გირაოს გამოყენებაზე, მის დასაბუთებაში ანალოგიური ტესტის გამოყენება არ ფიქსირდება. სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვს ბრალდებულის მიერ აღიარების, თანამშრომლობის და ზიანის ანაზღაურების საკითხებთან მიმართებითაც. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო ამ გარემოებებს იყენებს ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდების დასაბუთებლად. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება პატიმრობის შეფარდება, სასამართლო ამ გარემოებებზე ყურადღებას აღარ ამახვილებს და აქცენტს აკეთებს დანაშაულის ხასიათსა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმეზე, როგორც ბრალდებულის მიერ მიმალვის განმაპირობებელ გარემოებებზე. თავისთავად, დანაშაულის სიმძიმე არ წარმოადგენს ზოგადად აღკვეთის ღონისძიების და მისი რომელიმე სახის გამოყენების გამართლებას.

აღსანიშნავია ასევე, რომ როდესაც სასამართლო მსჯელობს ბრალდებულის მიერ დაზარალებულთან შერიგებაზე, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ბრალდებულის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და ამით ასაბუთებს ბრალდებულის მიმალვის საფრთხის არარსებობას, ამ შემთხვევაში გაუგებარია, რითი ხდება გირაოს გამოყენების დასაბუთება. თუკი არ არსებობს ბრალდებულის მიმალვის ან მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, რატომ არის აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის, თუნდაც გირაოს გამოყენება საჭირო? კანონმდებლობა ცალსახად ადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებს, რაც საერთოა აღკვეთის ღონისძიების ნებისმიერი სახისთვის. ამ საფუძვლების არარსებობის პირობებში კი, დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის, თუნდაც არასაპატიმრო ღონისძიების, გამოყენება.

სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა კოალიციისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: *„ნაწილი საქმეების ანალიზი, რომელიც ჩვენს მაგიდებზე მოხვდა ამ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ცხადყოფს იმას, რომ ძალიან ხშირად სასამართლო თავს არიდებს დეტალებში*

ჩაღრმავებას და ძალიან ხშირად საკმაოდ მარტივად იყენებს ა/ღ, როცა, რა თქმა უნდა, თავად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამის საჭიროება არსებობს. დასაბუთებულობას, რაც შეეხება, ძალიან რთულია, შესაძლებელია ითქვას, რომ სასამართლო ყოველთვის, უმეტეს შემთხვევებში, აკმაყოფილებს პროკურატურის მოთხოვნას და ეს, რა თქმა უნდა, წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი არის ძალიან დაბალი“.

გირაოს შეფარდების განჩინებებიდან საინტერესოა ერთი საქმე, რომელშიც ბრალდებულის ადვოკატმა გირაოს თანხის შემცირება ითხოვა, ვინაიდან ბრალდებულს პირადი შემოსავალი არ გააჩნდა და მისთვის 15 000 ლარის დაკისრება იქნებოდა არაგონივრული. შესაბამისად, დაცვამ ითხოვა თანხის 8 000 ლარამდე შემცირება, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში არ ჩანს დასაბუთება, ბრალდებულის შუამდგომლობა რის საფუძველზე არ დაკმაყოფილდა.

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, მონიტორინგის პროცესში, გირაოს შეფარდების 99 შემთხვევიდან, პროკურორმა მხოლოდ 33%-ში წარმოადგინა ბრალდებულის ფინანსური სტატუსის დასაბუთება გირაოს განსასაზღვრად. სხვა შემთხვევებში სასამართლოს ამის გარკვევა არც კი უცდია.

საინტერესოა კიდევ ერთი განჩინება, რომლითაც მოხდა ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდება აღკვეთის ღონისძიების სახით. აღსანიშნავია, რომ ბრალდებული მომხდარიდან დაახლოებით ერთ საათში პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა. თუმცა, ამის მიუხედავად, პროკურორმა იშუამდგომლა პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, მოტივაციად კი დაზარალებულზე ზეწოლის შესაძლებლობაზე მიუთითა. სასამართლომ, სათანადო მსჯელობის და არგუმენტაციის გარეშე, გაიზიარა პროკურორის პოზიცია და დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

სისხლის სამართლის საქმეებზე მომზადებული მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით, მოსამართლეები, პატიმრობის შეფარდებისას, იშვიათად ასაბუთებდნენ საკუთარ გადაწყვეტილებას. ამას გარდა, სასამართლო პროკურორისგან პატიმრობის შეფარდების

მოთხოვნის დასაბუთებას იშვიათად ითხოვდა. ანგარიშის მიხედვით, მოსამართლემ პატიმრობის შეფარდების 86 შემთხვევიდან მხოლოდ 34%-ში დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება.

4.3. არაერთგვაროვანი მიდგომა

შესწავლილ განჩინებათა ნაწილში სასამართლოს მხრიდან ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიებების სხვადასხვა სახის გამოყენება დაფიქსირდა. ბუნებრივია, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, თუნდაც ერთ დანაშაულში ბრალდებული რამდენიმე პირის მიმართ განსხვავებული ღონისძიებები გამოიყენოს, თუკი სახეზეა განსხვავებული გარემოებები, რაც განსხვავებულ მიდგომას განაპირობებს. ამის მიუხედავად, განჩინებების ნაწილში, რომლითაც რამდენიმე ბრალდებულის მიმართ ხდება აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, განსხვავებული გარემოებების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 იანვრის განჩინებით, აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 7 ბრალდებულის მიმართ. ამათგან, პროკურორის შუამდგომლობის მიხედვით, სასამართლომ 6 ბრალდებულს შეუფარდა გირაო, ხოლო ერთს – პატიმრობა.

გირაოს შეფარდების დასაბუთების ნაწილში სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდებულებს (6 ბრალდებულს) გააჩნდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, წარსულში არ იყვნენ ნასამართლეები, რაც გამორიცხავდა მათი მხრიდან მიმალვის ან გამოძიებაში ხელშეშლის საფრთხეს. ერთი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების დასაბუთებისას კი სასამართლომ არც ერთი ეს გარემოება არ უხსენებია. სასამართლო მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოიფარგლა, რომ საქმეზე ჩასატარებელი იყო რიგი საგამოძიებო მოქმედებები და ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, მისი მხრიდან, ამ პროცესისთვის ხელის შეშლა სავსებით რეალური იყო. განჩინებიდან არ იკვეთება, თუკი საქმეზე ჩასატარებელი იყო საგამოძიებო მოქმედებები, ეს ფაქტი რატომ ახდენდა გავლენას მხოლოდ ერთ ბრალდებულზე ან რა განაპირობებდა

საფრთხის მომდინარეობას კონკრეტულად ამ ბრალდებულის მხრიდან. განჩინებაში ამის განმაპირობებელი კონკრეტული გარემოებები მოყვანილი არ ყოფილა.

4.4. ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება

ყველა შესწავლილ განჩინებას ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობის შესახებ მსჯელობის ნაკლებობა ახასიათებს. როგორც წესი, სასამართლო ამ საკითხის გადაწყვეტისას სტანდარტული ფრაზით შემოიფარგლება და მიუთითებს, რომ „ბრალდებულის მიმართ ამ ეტაპზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიზანშეუწონელია.“ განჩინებების ნაწილში ასევე ფიქსირდება ფრაზა – „სსსკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების სახით მხოლოდ პატიმრობის გამოყენებით“. სავარაუდოდ, განჩინებებში ამგვარი მითითებების გაკეთება სასამართლოების მიერ აღიქმება, როგორც კანონმდებლობით მათთვის დაკისრებული ვალდებულების განხორციელება, რაც მდგომარეობს ბრალდებულისთვის ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობის განხილვაში.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნა ისაა, რომ „ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

როგორც მინიმუმ, აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს ავალდებულებს განავითაროს მსჯელობა ამ მიმართულებით და განჩინებაში მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების შესახებ, რომელთა არსებობაც ბრალდებულის მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავს.

განჩინებებში გამოყენებული ფრაზები ცხადს ხდის სასამართლოების ფორმალურ მიდგომას ამ საკითხის მიმართ, რაც საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოებისთვის დაკისრებული ვალდებულების შინაარსს არ შეესაბამება.

საბოლოოდ დასკვნის სახით უნდა გამოიყოს ის ძირითადი მახასიათებლები, რაც საერთოა ჩვენს მიერ შესწავლილი განჩინებებისათვის:

- დაბალია დასაბუთების სტანდარტი;
- განჩინებების უმეტესობა შაბლონურია და იდენტური შინაარსის დასაბუთებას შეიცავს;
- სასამართლო მსჯელობას არ იწყებს ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროებით;
- სასამართლო არ მსჯელობს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე;
- განჩინებებში წარმოდგენილი არ არის სათანადო მსჯელობა და არგუმენტები, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან შესაბამისობაში იქნება.

5. საბოლოო რეკომენდაციები

- *სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები შაბლონური ხასიათისაა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნას ვერ პასუხობს:*

სასამართლომ უნდა შეაფასოს ინდივიდუალური მოცემულობები და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის: ბრალდებულის ხასიათის თვისებები, ჯანმრთელობის და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ყველა სხვა რელევანტური ფაქტორი, რასაც ა/ღ შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა.

- *ა/ღ შეფარდებისას სასამართლოს მიერ გამოყენებული მტკიცების სტანდარტი დაბალია, რაც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ბრალდების მხარეს:*

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ აქვს ვალდებულება ა/ღ გამოიყენოს მხოლოდ კანონით მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას, ხოლო პატიმრობა – როგორც უკიდურესი ღონისძიება, მან კანონით დადგენილი სტანდარტის ზედმიწევნით

დაცვით უნდა განიხილოს პროკურორის შუამდგომლობა და მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში დააკმაყოფილოს პროკურორის მოთხოვნა.

- *სასამართლოები მსჯელობას არ იწყებენ ზოგადად ა/ღ გამოყენების მიზანშეწონილობით:*

სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება უპირველესად უნდა პასუხობდეს კითხვას, რატომ არის საჭირო ზოგადად ა/ღ გამოყენება კონკრეტულ საქმეში. მხოლოდ აღნიშნულის დასაბუთების შემდგომ უნდა გადავიდეს სასამართლო ა/ღ კონკრეტული სახის შერჩევაზე.

- *სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში დაცვისა და ბრალდების არგუმენტებს თანაბარი ყურადღება არ ეთმობა:*

მხარეთა თანასწორობისა და მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების თანაბარი იურიდიული ძალის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლემ თანაბარი ყურადღება უნდა მიაპყროს დაცვისა და ბრალდების პოზიციებსა და არგუმენტებს. ამასთან, განჩინებაში დაცვის მხარის მოსაზრებები ადეკვატურად უნდა აისახოს.

- *სასამართლო არ აქვს ერთიანი მიდგომა, რაც ორმაგი სტანდარტის დამკვიდრების საშიშროებას ქმნის:*

სასამართლომ უნდა შეიმუშოს ერთიანი მიდგომა აღკვეთის ღონისძიებების შერჩევისას, ერთ საქმეში იდენტური გარემოებების არსებობისას განსხვავებული მიდგომების გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

- *სსსკ-ის თანახმად, დაცვის მხარეს არ აქვს უფლება გაასაჩივროს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გადაწყვეტილება ბრალდებულის თანხმობის გარეშე;*

სსსკ-ში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების გასაჩივრებისას ბრალდებულის თანხმობა სავალდებულო არ უნდა იყოს.

- *სსსკ-ის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებების გასაჩივრებისთვის ა/ღ თაობაზე საჩივარს თან უნდა ერთვოდეს ახალი მტკიცებულებები;*

სსსკ-ში ა/ღ გასაჩივრებისას ახალი მტკიცებულებების წარდგენის პირდაპირი ვალდებულება არ უნდა არსებობდეს.

- *კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოში არ არის დადგენილი საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები;*

კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოში არ არის დადგენილი საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები, რაც ასევე ხელს უწყობს სასამართლოს, დაუსაბუთებლად დაუშვებლად ცნოს ა/ღ თაობაზე საჩივრები, აღნიშნული საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები სსსკ-ში. დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი.